**სსიპ კოლეჯი მოდუსი**

MES 7 23 0001394776

18/10/2023

**აპლიკანტთა 2023 წლის მიღებისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე, 56-ე მუხლების საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის N44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი მოდუსის წესდების მე-5 მუხლის „თ“ პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების 21-ე მუხლის, 27-ე მუხლის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მე-12 მუხლის მესამე პუნქტის, მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად,

**ვბრძანებ**

1. სსიპ კოლეჯ ,,მოდუსში" 2023 წლის მიღებისას აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, დოკუმენტების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 19 ოქტომბრიდან 23 ოქტომბრის ჩათვლით:
2. განისაზღვროს აპლიკანტთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დოკუმენტების წარმოდგენა უნდა მოხდეს სსიპ კოლეჯი მოდუსის ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. N4 და ქ. მარნეული, ყოფილი პნევმოტრანსის ტერიტორიაზე განთავსებულ სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო კორპუსში;
4. დოკუმენტების წარმოუდგენლობა ან მათი არასრული წარმოდგენა წარმოადგენს ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს;
5. წარმოსადგენი დოკუმენტების მიღება ქალაქ რუსთავში დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს ანა კაპანაძეს, ხოლო მარნეულში მოდუსი მარნეულის მენეჯერს სალომე მაყაშვილს;
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
7. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს ანა კაპანაძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გადაგზავნა კოლეჯის IT სპეციალისტისთვის, იურისტისთვის, მოდუსი მარნეულის მენეჯერისთვის;
8. IT სპეციალისტს დაევალოს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ელექტრონულ ვებ-გვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6).

**ნინო ქავთარაძე**
დირექტორი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ კოლეჯი "მოდუსი"
დირექტორი
ქავთარაძე ნინო